


გორის ფრენბურთის მოედნებზე

გორში ამას წინათ ჩატარდა საქართველოს პირველობა ფრენბურთში მეორე ჯგუფის გუნდებისათვის. მონაწილეობდნენ: ქუთაისის, სტალინის, ფოთის, გორის, ქიათურის, ბორჯომის, სამტრედიის, ტყეხულის, ბოლნისის, სიღნაღის, ლაგოდეხის, გურჯაანის, ცხაქაიას, თეთრიწყაროს, ცაგერის, ყვარელის, ადიგენისა და სხვა რაიონების ქალთა და ვაჟთა გუნდები. ქ. გორის ი. ბ. სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის ფრენბურთის მოედანზე საზეიმო ვითარებაში გაიხსნა შეჯიბრება.



წყალში მხოლოდ სავალაქო ჩემპიონატი

დამთავრდა თბილისის 1958 წლის პირად-გუნდური პირველობა წყალში ხტომაში, რომელიც ორ ტურად ჩატარდა. პირველი ტურის შედეგები მკითხველთათვის უკვე ცნობილია.

თავდაპირველად უნდა ითქვას, რომ ამ ზაფხულს თბილისელ მხტომელებს ბედი არ წყალბობდა: მათი ყველა შეჯიბრება წვიმიან ან ცივ ამინდში ტარდებოდა.

შეჯიბრების პირობების მიხედვით, ყოველი გუნდი უნდა შედგარიყო ორი გოგონასაგან, ორი ჰაბუკისაგან, ოთხი ქალისა და ოთხი კაცისაგან. პირველობაში მონაწილეობა მიიღეს „განთიადის“ ორმა გუნდმა, „ბურევესტნიკის“, „ლოკომოტივისა“ და განათლების განყოფილების თითო-თითო გუნდმა.

18070 ქულის მოგროვებით, პირველობა მოიგო „განთიადის“ პირველი გუნდი, მეორე ადგილი დაიხურა მისწავლე სპორტმენებმა (11361), მესამე — „ლოკომოტივი“ (10670).

პირად პირველობაში წარმატება

წილად ხვდა სპორტის ოსტატ ტინწკირველს („განთიადი“). მან შეჯიბრება მოიგო ყველა სახეობაში და თბილისის აბსოლუტური ჩემპიონი გახდა.

გოგონათა შორის ერთმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში გაიმარჯვა ლოკომოტიველმა თ. კუშნაროვამ, რომელმაც ორივე ტურში დააგროვა 85,91 ქულა. ამავე სახეობაში ჰაბუკთა შორის უძლიერესი აღმოჩნდა ვ. ველოკიმიოვი („განთიადი“), რომლის შედეგია 100,63 ქულა.

სამეტრიანი ტრამპლინი ჩემპიონის წოდება გოგონათა შორის მოიპოვა ლ. მახვილაძემ („განთიადი“), ხოლო ჰაბუკთა შორის ლოკომოტიველმა ი. გუტიგულოვმა.

ამავე სახეობაში ვაჟთა შორის 263,86 ქულით პირველ ადგილზე გამოვიდა ბურევესტნიკელი გ. ქორია. ს. კამოევმა („განთიადი“) მოიგო ორი პირველობა — კომპილიან ხტომა (248,17) და ერთმეტრიანი ტრამპლინი (234,56).

ამ შეჯიბრებაზე ახალგაზრდებიდან თავი გამოიჩინეს ა. იორდანიშვილმა, ნ. მაზნაშვილმა, თ. ნიკურაძემ, თ. აბაზაძემ, ი. კუპრიანოვმა (ყველა „განთიადიდან“), ლ. უტეშვიძემ, ვ. ესიკოვიკიმ („ბურევესტნიკი“), ე. მურადოვამ, ვ. ავაგანიანმა, ს. მურადოვამ (განათლების განყოფილება) და სხვ.


3. ინფორმაცია

საქართველო — ლიგვა

ვილნიუსში ჩატარდა ამხანაგური შეხვედრა სსტენდო სროლაში ლიტვისა და საქართველოს გუნდებს შორის. შეჯიბრების პროგრამაში იყო ადგილიდან და მრგვალ სტენდზე სროლა. პირველ ორ დღეს ადგილიდან სროლაში გაიმარჯვეს მისამხედველმა, რადგან საქართველოს სპორტსმენებიდან ბ. სარქისოვმა ჩათვლა ვერ მისცა გუნდს. პირად ჩათვლაში გაიმარჯვა საერთაშორისო სპორტის ოსტატმა ი. სავანელიძემ, რომელმაც შესაბამისად დააზიანა 94 და 95 სამიზნე. ზ. მაჩხანელმა, რომელიც პირველ დღეს ყველაზე უკეთესი იყო (95 სამიზნე) მეორე დღეს მეორე და მესამე ადგილები დაუთმო ლიტველებს ე. შეკასა და ვ. ბუტკიავიჩუს.

მრგვალ სტენდზე სროლაში გაიმარჯვეს საქართველოს მესტენდურებმა, რამაც ფაქტურად გადაწყვიტა საერთო პირველი ადგილის ბედი. აქ პირად შეჯიბრებაში ყველას აჯობა ზ. მაჩხანელმა, რომელმაც 100-დან 93 სამიზნე დაამსხვრია. გამარჯვებულს 2 ქულით ჩამორჩა ბ. სარქისოვი, მესამეზე გამოვიდა ვ. ჯაბახიძე.

8. ჯიჯარია



ამხანაგური შეხვედრა

ჩატარდა სტალინისა და კასპის რაიონების გუნდების ამხანაგური შეხვედრა ქართულ ჰილდობაში. პირველად სტუმრების წინააღმდეგ გამოვიდა კასპის რაიონის პირველი ნაკრები გუნდი. გაიმარჯვეს მასპინძლებმა ანგარიშით — 7:2. მასპინძელთა მეორე ნაკრები გუნდის გამოსვლაც მათივე გამარჯვებით დამთავრდა — 8:1.

3. გვალაძე.

მოუზადებელი შეხვედრა სასნაპლო წელს

სულ სხვადასხვაგვარად მოემზადნენ ახალი სასწავლო წლისათვის სამტრედიის რაიონის საშუალო და შვიდწლიანი სკოლები. რკინიგზის 24-ე (დირექტორი შ. ქართველიშვილი, ფიზაღბრდის მასწავლებელი გ. კალაძე), 23-ე (დირექტორი შ. ჩიხლაძე, ფიზაღბრდის მასწავლებელი კ. კახიანი) სკოლები მზად შეხვედრენ ახალ სასწავლო წელს, წესრიგში მოიყვანეს დაბაზები, სპორტული მოედნები, ინვენტარი.

ჩემპიონი სხაპიდავთა

ამ დღეებში ცხაქაიას ეწვია მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი კლასიკურ ჰილდობაში გ. კარტოზია. რაიონის მშრომელებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს გამარჯვებულ სპორტსმენს. კარტოზიას სპორტული გზის შესახებ ილაპარაკა კომკავშირის რაიონის მდივანმა მ. აფშილაძემ. მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ შ. შარვაძე, შ. ნაჭყებია და პიონერთა ჯგუფი.

გ. კარტოზიამ მაღლობა გადაუხადა მშრომელებს გულთბილი შეხვედრისათვის. შემდეგ მოეწყო სპორტული განყოფილება. ერთმანეთს შეხვედრენ ფოთისა და ცხაქაიას მოჭიდებები. გაიმარჯვეს მასპინძლებმა.

3. შენგელია.

„ფიზიკური კულტურა საწარმოში“

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელმა საზოგადოებამ გამოცდა ვ. ელაშვილის ბროშურა „ფიზიკური კულტურა საწარმოში“. ავტორი ნაწარმოში კარგად მოგვითხრობს საწარმოო ტანვარჯიშის ჩატარების და მისი სარგებლობის შესახებ და ასკენის, რომ საწარმოში ტრავმული შემთხვევების შემცირება დაწვევის დაწესების სახამ მომუშავე კარგად გავარჯიშდება, და დღის ბოლოს, როდესაც დაღლილი გარკვეულ დონეს აღწევს. ამიტომ, საჭიროა ფიზიკური ვარჯიში ჩატარდეს საწარმოში დღით, მუშაობის პროცესში და სამუშაოს დამთავრების შემდეგ. მუშაობის დაწყების შემდეგ მუშაობის დაწყებამდე ტანვარჯიშის ჩატარებას უპირატესად დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც ორგანიზმის ჯანმრთელობის დაცვისა და მისი განმტკიცებისათვის, აგრეთვე შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის.

ამიტომ, ავტორი თავის ნაწარმოში რჩევას იძლევა, რომ საწარმოში ტანვარჯიში უნდა ტარდებოდეს ყოველდღე მუშაობის დაწყებამდე 5-7 წუთის ხანგრძლივობით.

იმის გამო, რომ საწარმოში ყოველთვის არაა შესაძლებელი შრომის ერთი სახე შეიცვალოს მეორეთი, ამიტომ დიდწილად პროფი-

წაკითხეთ ეს წიგნები

ლაქტიკის კარგ საშუალებას წარმოადგენს აგრეთვე ტანვარჯიშის ჩატარება მუშაობის პროცესში ანუ ფიზკულტ-პაუზა.

ავტორი რჩევას იძლევა ტანვარჯიშის ჩატარების საჭიროების შემთხვევაში, რადგან მისი მიზანია დააქაროს მომუშავეს გამოყვანა სამუშაო გარემოდან და საუკეთესო პირობები შექმნას ორგანიზმში სამუშაო მდგომარეობიდან დასვენებაზე ან სხვა სამუშაოზე გადასასვლელად.

ვ. ელაშვილის ნაწარმოში „ფიზიკური კულტურა საწარმოში“ დიდ დახმარებას გაუწევს საწარმოს ფიზკულტურულ ორგანიზაციებსა და დაინტერესებულ პირებს.

„ტაქტიკის სწავლება ახალგაზრდა ფეხბურთელებისათვის“

გამომცემლობა „ფიზკულტურა ი სპორტმა“ მიმდინარე წელს რუსულ ენაზე გამოსცა ა. მ. ვალბერინის საინტერესო ნაწარმოი „ტაქტიკის სწავლება ახალგაზრდა ფეხბურთელებისათვის“.

როგორც წიგნის შინაარსიდან ჩანს, ავტორს წიგნი ახალგაზრდა

ფეხბურთელებთან დიდი ხნის მუშაობის, პრაქტიკული დაკვირვებისა და გამოცდილების შედეგად დაუწერია. ავტორს თავის ნაწარმოში მასალა დაეფუძნა აქვს თანმიმდევრულად, თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთდაკავშირებით. აქვე უხვადაა მოცემული მოედანზე ფეხბურთელების მოქმედების ამსახველი სურათები, სანიმუშო სასწავლო გეგმები და ცხრილები მეცადინეობის, მისი შინაარსისა და ფიზკულტურის სასწავლო საათების სანიმუშო განაწილებისა და მისი სწავლების საკითხების შესახებ.

წიგნი დაყოფილია თავებად და ქვეთავებად. თვითეულ მათგანში მოთხრობილია თამაშის სისტემის, ტაქტიკის ძირითადი საკითხების, ტაქტიკური კომბინაციების, ტაქტიკური მოქმედების ზოგიერთი საკითხების შესახებ.

უნდა შევნიშნოთ, რომ წიგნის ავტორი ა. ვალბერინი ცნობილი მწვრთნელია, რომელიც თბილისში ცხოვრობს და აქვე მუშაობს, წიგნი კი რუსულ ენაზე გამოიცა მოსკოვში. ჩვენ კი მშობლიურ ენაზე მსგავსი რამ არ მოგვეპოვება. ამიტომ, სასურველია, აღნიშნული წიგნი ითარგმნოს და გამოიცეს ქართულ ენაზე, რითაც კარგ დახმარებას გაუწევთ ფეხბურთელებს, მწვრთნელებსა და საერთოდ, სპორტის მოყვარულ ახალგაზრდობას.

მაგრამ ამას ვერ ვიტყვით სხვა სკოლებზე. მართალია, რუსულ საშუალო სკოლას (დირექტორი ტ. გეგუჩაძე, ფიზაღბრდის მასწავლებელი კ. ახობაძე) აქვს კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, მაგრამ აქ არაა სპორტტარბაზი, რის გამოც ნორმალური მუშაობა ხშირად ფერხდება. ცუდადაა დაყენებული ფიზკულტურული მუშაობა პირველ საშუალო სკოლაში (დირექტორი დ. გახოკიძე, ფიზაღბრდის მასწავლებელი ს. ერქვანიძე). სკოლის ერთადერთი ბაზის წარმოადგენს ეზოში მოწყობილი სასტომი ორმო, ანალოგიური მდგომარეობაა მე-2 საშუალო სკოლაშიც.

მოუზადებელი შეხვედრენ ახალ სასწავლო წელს აგრეთვე ეწერის, მელაურის, ჩხენიშისა და ჭოგნარის შვიდწლიანი სკოლები.

3. ვაზაპია

დაკომპლექსდა ნაპრები გუნდი

ბათუმში დამთავრდა „კომპლექსის“ ცენტრალური საბჭოს სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული მძლეოსანთა შეჯიბრება. გამარჯვებისათვის იბრძოდნენ აპარის, აფხაზეთის, სამხრეთ-ოსეთის, ფოთის, ქუთაისის, მახარაძისა და სხვა რაიონების 21 გუნდი. გუნდურ ჩათვლაში სამპრზო ადგილები ასე განაწილდა: აპარა, ფოთი, აფხაზეთი.

ალხანიშნავია, რომ მთელმა რიგმა რაიონებმა თავი აარიდეს შეჯიბრებაზე არა მარტო გუნდების, არამედ ერთეული სპორტსმენების გამოყვანასაც. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება ამბროლაურის, ბოლნისის, გეგუქორის, ზესტაფონის, თელავის, ლაგოდეხის, ჩოხატაურის, ხაშურის, ქიათურისა და წითელწყაროს რაიონები.

მოუზადებელი გუნდები გამოვიდნენ ბოგდანოვიცის, აბაშის, სარხურის, მარნეულისა და გურჯაანის რაიონები. განსაკუთრებით სუსტად იყვნენ მომზადებულნი ბოგდანოვიცისა და გურჯაანის მძლეოსნები.

ამ დონისძიებისაღმის რაიონებში ამაგარმა მდგომარეობა ის, რომ შეჯიბრების პროცესში ნაჩვენებ იქნა მეორე თანრიგის 12 და მესამე თანრიგის 48 შედეგი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ რესპუბლიკის სოფლის ახალგაზრდებს შორის ჯერ კიდევ არასათანადო ყურადღება ექცევა მძლეოსნობის განვითარებას.

შეჯიბრების შემდეგ შეიქმნა ნაკრები გუნდი, რომელიც სათანადო წვრთნის შემდეგ მონაწილეობას მიიღებს სოფლის ფიზკულტურულთა საკავშირო სპარტაკიადაში, რომელიც ჩატარდება ოქტომბრის მეორე ნახევარში სტავროპოლში.

3. სომერია

არმიელი მოტოციკლისტები დილოში

ამას წინათ დილოში მიდამოებში ჩატარდა საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების პირველობა მოტოციკლისტების, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს უძლიერესმა მოტოციკლისტებმა.

ბრძოლა პირველობისათვის გახსნეს სპორტსმენმა ქალებმა. 45-კილომეტრიანი ტრასა, მკვეთრად დასერილი რელიეფით, მაღალ ოსტატობას მოითხოვდა მოტოციკლისტისაგან. ჩინებულად გაიარა ტრასა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ი. ოზოლინამ. მისი შედეგი 1:10.15,8 საუკეთესო გამოდგა. 2 წუთით და 45 წამით მეტო მონადემა რბოლის დამთავრებას სპორტის ოსტატმა ნ. სუსლოვამ. ჰაბუტა შორის ამავე დისტანციაზე პირველი იყო რიგელი ე. სილინი, ხოლო 175 კმ სმ კლასის მოტოციკლებით რბოლაში გამარჯვდა სპორტის ოსტატმა ა. ოლინიკოვმა. ქლიერმა სპორტსმენებმა იყარეს თავი 125 კმ სმ კლასის მოტოციკლებით რბოლაში. 88 მონაწილეს შორის 14 სპორტის ოსტატი იყო, ამათგან დისტანცია ბოლომდე 25 სპორტსმენმა დაამთავრა. როგორც მოსალოდნელი იყო თავი გამოიჩინა საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა რკალურ რბოლაში, ლენინგრადელმა ა. ვასინმა. 18 წრე (65 კილომეტრი) მან დაფარა 1:27.36,0, ფინიშთან მეორე მივიდა სპორტის

ოსტატი ა. სიროტინი, მან გამარჯვებულთან 3 წუთი და 5 წამი წააგო. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მოტოციკლისტი ა. გუნია მეშვიდე ადგილზე გამოვიდა, ჩამოიტოვა რა უკან 8 სპორტის ოსტატი.

საინტერესოდ ჩატარდა რბოლა 850 კმ სმ კლასის მოტოციკლებით, ამ ტიპის მანქანებს კროსის დრის დიდი სისწრაფის განვითარებას საშუალება აქვთ. ამავე დროს ისინი სხვა ოლქის მანქანებთან შედარებით იალად ძველენ ერთი შეხედვით გაუვალ ადგილებს. პირველი ადგილი დაიკავეს ბრძოლაში დაიხსურა სპორტის ოსტატმა ვ. ნოვოსელოვმა. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ აგრეთვე სპორტის ოსტატები ი. კონოხა და ჯ. კრასტი. საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებში ჩემპიონები მოტოციკლისტები გახდნენ: ა. ბელინი (750 კმ სმ კლასის მოტოციკლი), სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. კულაკოვი (500 კმ სმ კლასის), სპორტის ოსტატი ნ. აბდრახმანოვი (მძლოლი) და პირველთაწრიოსანი რ. კაშალეტინოვი (750 კმ. სმ კლასის ეტლიანი მოტოციკლებით რბოლაში) და სპორტის ოსტატები ი. სოკოლოვი (მძლოლი) და ი. მელხოვი (500 კმ სმ კლასის ეტლიანი მოტოციკლებით რბოლაში).

ა. ბაპარაშვილი

საერთაშორისო მატჩი

თბილისის სკოლა-სა და მეღვივის „სტალის“ (პოლონეთი) ფეხბურთელთა გუნდების საერთაშორისო შეხვედრა, რომელიც გუშინ „დინამოს“ სტადიონზე ჩატარდა, დაიწყო მასპინძლების შეტევით. ნორაიკემ ცენტრიდან მარჯვენა ფრთაზე ღრმა გარღვევაზე გაიყვანა მიქაძე, რომელმაც მოატყუა მარცხენა მცველი კრული, დარჩა მეკარის პირისპირ და გახსნა ანგარიში.

მალე მიქაძის მორიგი გარღვევა პოლონელებმა ბურთის კუთხურზე მოგერიებით შეაჩერეს, კუთხური საჯარიმიდან მოწოდებულ ბურთს კარის წინ ზედიზედ დააცილა კურტანიძემ, გვიმრაძემ, შემდეგ მას თბილისელთა მარცხენა გარემარბი ივანოვი დაეფულა, მაგრამ არახუსტად დაარტყა ცარიელ კარში.

თბილისელთა იერიშები გრძელდება, სტუმრები აშკარად დააბნია მოწინააღმდეგის მაღალმა ტემპმა, რაც

მათ კიდევ ერთ გოლად დაუჯდათ. ივანოვის მოწოდებულ ბურთს მიუსწრო ცენტრალურმა თავდამსხმელმა კურტანიძემ და საჯარიმო მოედნის ხაზიდან მეორე გოლი გაიტანა მაღალ კუთხეში.

შეხვედრის დაწყებიდან მეოთხედის საათი თუ იქნებოდა გასული, როცა გვიმრაძემ მესამე ბურთი გაიტანა. მაგრამ „სტალის“ ფეხბურთელებმა თანდათან გამოაკეთეს თამაში, რამდენიმე იერიში განავითარეს თბილისელთა ნახევარზე და ერთ-ერთი მათგანი კარის აღებით დაამთავრეს.

თამაშის მეორე ნახევარში არმიელები უნიციტაციოდ თამაშობდნენ, ამიტომ მოედანს სტუმრებმა დაეპატრონენ, რამდენიმე მწვავე იერიში მიიტანეს თბილისელთა კარზე და ერთი გოლიც გაიტანეს.

შეხვედრა დამთავრდა თბილისის ოსკა-ს გამარჯვებით ანგარიშით — 3:2.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 18 სექტემბერი

„სპარტაკი“	19 12 4 8 50:24 28
„დინამო“ მ.	20 12 8 5 39:24 27
ცსკ მო	21 9 8 4 40:25 26
„ზენიტი“	19 8 7 4 37:20 23
„ლოკომოტივი“	18 8 5 5 35:25 21
„შახტიორი“	18 9 3 6 21:22 21
„დინამო“ კ.	17 5 8 4 30:24 18
„ტორპედო“	20 5 8 7 47:41 18
„კრ. სოვეტ.“	18 4 6 8 19:25 14
„დინამო“ თბ.	19 6 2 11 29:53 14
„მოლოდოვა“	18 2 8 8 22:37 12
„ადმირალტ.“	21 3 0 18 21:61 6


ლენინგრადი. 17 სექტემბერი. (ტელეფონით). გუშინ აქ გაიმართა მორიგი კალენდარული მატჩი ფეხბურთში ჩვენი ქვეყნის პირველობაზე. ადგილობრივმა „ზენიტმა“ მიიღო თბილისის „დინამო“. სტუმრები მოედანზე გამოვიდნენ შეცვლილი შემადგენლობით.

შეხვედრა დაიწყო ლენინგრადელთა იერიშებით და უკვე მე-16 წუთზე სიკინაგას შეცდომის გამო თბილისელთა კარში დაინშნა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა. პატანოვმა ვერ გამოიყენა ანგარიშის გახსნის ეს რეალური შესაძლებლობა. შემდეგ ინიციატივა ხელთ იტყვის სტუმრებმა და იამანიძემ გაიტანა პირველი გოლი.

შეხვედრის მეორე ნახევარში ბონდარენკომ სუსტად დაარტყა კარში, მაგრამ მეკარე კვაჭაძემ ვერ აიღო იგი — 1:1. მატჩის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე მასპინძლები მთელი გუნდით გადავიდნენ შეტევაზე და შედეგად მიიღვიეს. შეხვედრა მოიგეს ლენინგრადელებმა — 2:1.

ამ დღეებში ლენტეხის ალკ რაიკომისა და ფიზკულტურის რაიკონული კომიტეტის მიერ მოეწყო კომპაგვირის 40 წლისთავისადმი მიძღვნილი მოტო-გადასვლა მარშრუტით: ლენტეხი-ჩოლურის-სასოფლო-საბჭო-ქახუნდერის-ჩიხარე-შის-ცანა-უშგული-კალა-ივარია-მულახი-მესტი-ლენტეხი. ტრასის

სიგრძე უდრის 290 კმ. ამ მარშრუტით მოტიციკლისტებს უნდა გადაეღებინათ უშგულისა და ულვირის უღელტეხილები. ერთ-ერთი მათგანის სიმაღლე უდრის ზღვის დონიდან 3.200 მეტრს. ტრასის



გავლას უამინდობა დაერთო და ისედაც რთული გზა საგრძნობლად გაართულა, მაგრამ მონაწილეთა მიერ ყველა სიძნელე კარგად იქნა გადალახული.

კოლონა სასოფლო საბჭოების

გავლის დროს გზადაგზა ჩერდებოდა და მართავდა საუბრებს.

3. რატიანი

სურათზე: მოტო-გადასვლის მონაწილენი მესტიაში.

გასულ წელზე უკეთესი შედეგები

100 მეტრზე ნახევარფინალურ გარბენებში ნახევრები მაღალი შედეგების შემდეგ მასურებლები სამართლიანად მოელოდნენ საინტერესო ბრძოლას ფინალში და სპრინტერებისაგან უკეთესი მაჩვენებლების მოპოვებას. მათ ამის საბაზი ჰქონდათ, რადგან წინა ღღეს ხუთმა სპორტსმენმა აღნიშნული მანძილი გაიბრინა — 10,4-დან 10,9 წამში. ვარაუდი არ გამართლდა. სწორედ აქ იჩინა თავი ჩვენი სპრინტერების ნებისყოფის სისუსტემ. პირველი დღის დატვირთვამ თავისი ჰქნა და ფინალში ძალა არ ეყოთ. ეს განსაკუთრებით დაეტყო ტრაპაიძეს, კლუევსა და ბედუაძეს. ფინალში ტრაპაიძე უპასხანელ მეტრამდე წინ მიდიოდა, მაგრამ ზედ ფინიშზე ე. ლომთაძემ გააკეთა ბიძგი, ლიდერზე ადრე შეეხო ზონარს და ჩემპიონობა მოიპოვა. ორივე სპორტსმენმა აჩ-

ვენა ერთნაირი შედეგი — 10,9 წამი.

ასეთივე ბედი ეწვია ლ. იველე-ვასაც ქალთა შორის 100 მეტრზე რბენაში. მან წინა დღის შედეგთან შედარებით — 0,2 წამით უარესი დრო აჩვენა და მეორე ადგილზე გამოვიდა — 12,6, ა. ოვივიანმა, რომელმაც გაიმეორა წინა დღის მაჩვენებელი — 12,5, დაიკავა პირველი ადგილი.

შეჯიბრების მეორე დღე აღინიშნა ახალი რესპუბლიკური რეკორდით. მისმა ავტორმა ლ. შაგოვმა (თბ. I) წინასწარ შეჯიბრებაში შუბი ტყორცნა 66,38 მეტრზე. ძველი რეკორდი, რომელიც მასვე ეკუთვნოდა, უდრის 66,25 მეტრს. წინასწარ შეჯიბრებაში გაცილებით უკეთესი შედეგი ჰქონდათ, ვიდრე ფინალში, მომდევნო სპორტსმენებმა ი. გიგაურს (თბ. II) — 65,56 მ და ჩვენი ქვეყნის ჩემპიონს მოსწავლეთა შორის ნ. კორსანტიას (აფხაზეთი) — 61,08 მეტრს.

ფინალში საგრძნობლად გააუარესეს შედეგები ბირთვის მკვერლმა და ბადროს მტყორცნელმა ქალებმა. ამ ორივე სახეობაში ჩემპიონობა მოიპოვა სპორტის ოსტატმა ლ. ტულუშმა (აჭარა), რომლის შედეგია: ბირთვი — 13,39 მეტრი, ბადრო 47,37 მეტრი, ბირთვის კვრამი მუსამე ადგილზე გამოსულმა ს. ლევიცკიამ (აჭარა) ჩათვალა ვერ მისცა გუნდს, რადგან მისი შედეგი — 11,88 არ აღემატება მე-1-ამე თანრიგს, მეორე ადგილი წილად

ხედა მ. დიაჩკოვს (თბ. II) — 12,85 მ.

უკვე არა ერთი წელია 80 მეტრზე თარჯრბენში სტარტზე ერთიანი გვიც სპორტსმენები გამოდიან, რაც იმაზე მეტყველებს, რომ სპორტის ამ სახეობით მწვერთნელები სათანადოდ ვერ აინტერესებენ აღსაზრდლებს, არ ზრუნავენ მომავალი ცვლისათვის. თუმცა ამ შეჯიბრებაზე ორმა პრიზიორმა სპორტის ოსტატმა მ. ქოჩიძემ (11,3) და ჯ. ოდილაძემ — 11,6 (ორივე თბილისიდან) შეძლეს პირველი თანრიგის შედეგის ჩვენება, ხოლო როკმანოვამ (აჭარა) — მეორე თანრიგისა — 12,3, მაგრამ განა საკმარისია? რატომ არ გამოიყვანეს მონაწილენი სხვა ქალაქებმა და რაიონებმა?

კიდევ ერთ სახეობაზე გვინდა შევაჩეროთ მკითხველს ყურადღება. ესაა სიმაღლეზე ტტობა ქალთა შორის. 11 სპორტსმენიდან მხოლოდ ორმა შეასრულა II თანრიგის შედეგი. გამარჯვებულმა ა. ოლაძემ (თბ. I) გაჭირვებით დაძლია 150 სმ. ხოლო ლ. ფატარძემ (თბ. II) 5 სმ-ით უარესი შედეგი აჩვენა. უნდა გვასოვდეს, რომ საკავშირო პირველობაზე ჩათვალაში შევა მხოლოდ პირველი თანრიგის შედეგი.

შეჯიბრების მესამე დღეს ახალი გამარჯვება მოიპოვა სპორტის ოსტატმა რ. ტრაპაიძემ, რომელმაც 200 მეტრზე თარჯრბენში დაამყარა საქართველოს ახალი რეკორდი — 23,9, რაც 0,2 წამით აღემატება მისსავე რესპუბლიკურ რეკორდს. შემდეგ რ. ტრაპაიძე 200

მეტრზე რბენის ფინალშიც შეეცადა რეკორდის გაუმჯობესებას. მაგრამ ამაოდ. უნდა ველოდოთ, რომ იგი ამ დისტანციაზე ნ. კლუევთან, ე. ლომთაძესთან, რომლებმაც დიაჩკოვს II და III ადგილები, ბრძოლაში მოკლე ხანში შეძლებს რესპუბლიკური რეკორდის გაუმჯობესებას, რომელიც სპორტის დამსახურებულ ოსტატ ლ. სანაძეს ეკუთვნის.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ სახეობაში მონაწილეთა რაოდენობა მეტად განსაზღვრულია და შედეგები არასახარბიელოა, მთლიანად ჩვენს მძლეოსნებს შარშანდელთან შედარებით ეტუობათ სერიოზული ზრდა, მაგრამ ამაზე შემდეგ ნომერში, როცა შეჯიბრების საბოლოო შედეგებზე, მისი ჩატარების ორგანიზაციის დადებით და ნაკლოვან მხარეებზე გვექნება ლაპარაკი.

ლ. გიორგაძე, საკავშირო კატეგორიის მსახი. ო. ზელაშვილი.

მოსკოვი. 15 სექტემბერი. დედაქალაქის გუნდების ცსკ მოს-სა და „ტორპედოს“ მატჩი დამთავრდა არმიელ ფეხბურთელთა გამარჯვებით — 2:1.

კიევი. 15 სექტემბერი. აქ გაიმართა მორიგი შეხვედრა ფეხბურთში საბჭოთა კავშირის პირველობაზე. ადგილობრივმა „დინამომ“ მიიღო სტალინოს „შახტიორი“ და დაამარცხა იგი ანგარიშით — 1:0.



სურათზე: საქართველოს რეკორდმენი შუბის ტყორცნაში ლ. შაგოვი. მარცხნივ — ა. ოვივიანი ფინიშთან.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

„საბჭოთა გარინას მტკვრის ნაპირებიდან უნდა ველოდეთ...“



ბელორუსიის ცენტრალური აეროკლუბის ავტორობში ჩატარდა საბჭოთა კავშირის პირველმა საავიაციო სპორტში, რომელიც ლენინური კომკავშირის მე-40 წლისთავს მიძღვნიდა. სურათზე: სპორტის ოსტატი ა. კოვშირკო გამარჯვებას ულოცავს მოსკოველ ა. ბოდრიავინას, რომელმაც 200 ქულიდან 200 დააგროვა და პირველი ადგილი დაიკავა.

შურნალ „სპორტინე იგრის“ 1958 წლის მე-8 ნომერში მოთავსებულია ა. ვიტის წერილი — „დიდი საუბრის დასაწყისი“, რომელშიც განხილულია ფეხბურთის საკითხებზე საკავშირო თათბირის მუშაობა. აი რას აღნიშნავს ა. ვიტი თავის ვრცელ წერილში.

ბუნებრივია, რომ თათბირის ყურადღების ცენტრში იდგა მსოფლიო ჩემპიონატის შედეგები, რომელიც ამჯერად უფრო საქმიან, მეთოდური და ანალიტიკური იყო. თათბირის საყოველთაოდ აღიარებული თემა იყო: ფეხბურთის განვითარება — ესაა შემოქმედებითი პროცესი და სწორედ ამ ნიშნით უნდა წარმოართოს მომავალში საბჭოთა ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის გამოცდადგება ცხად-ზე-ცხადი გახდა იმ გუნდების უპირატესობა, რომლის მოთამაშეებსაც ძალუბთ სათამაშო სიტუაციების დამოუკიდებელი და შემოქმედებითი გადაწყვეტა. ისეთი თავდასხმელები, როგორცაა ბრაზილიელი გარინა და ზაგალი, შედეგები მაშინ და სკოგულენდი, ძალიან ხშირად გამოდიან ტაქტიკური შეტევების ინიციატორებად, ეძებენ, პოულობენ და არღვევენ კიდევ მოწინააღმდეგის სუსტ მხარეებს. ბრაზილიის გუნდს შეუძლია მწვრთნელის მითითების გარეშე საკირობისამებრ შეცვალოს თამაშის რიტმი, შექმნას პაუზები, შეცვალოს სათამაშო ურთიერთკავშირის ხასიათი, გადაადგეს გრძელი გადაწოდებიდან მოკლეზე და ა. შ.

მოდ ხდის მწვრთნელის თამაშისწინა მითითებებს.

ბოლო წლებში ჩვენი მწვრთნელები წავიდნენ „გუნდ-მექანიზმების“ შექმნის გზაზე, რასაც დღეს უფრო მეტი ზიანი მოაქვს, ვიდრე სარგებლობა — მოთამაშის შემოქმედებითი უნარის გამოყენება. ჩვენს მწვრთნელებს დიდი ვაჟაკობა მართებთ იმისათვის, რომ საკუთარ კონსერვატივს მოულონ ბოლო.

მეორეს მხრივ, თვით მწვრთნელთა შემოქმედებით ინიციატივასა და ძიებაზე და უზუგვლად მოქმედებს ადგილობრივი არგანიზაციებისაგან და „მატრონებისაგან“ მისი მუშაობის დამოკიდებულება, მისი მუშაობისადმი მათი ფორმალური, კანცელარიული მიდგომა, ეს „შეფხები“ მხოლოდ სატურნირო ქულეებით ზომავენ გუნდების კლასს, კულტურას, აწმყოსაც და მომავალსაც. ამის გამო მწვრთნელს საშუალება ესაზოა იმუშაოს პერსპექტიულად, ჩაატაროს ექსპერიმენტები, შემოქმედებითი ძიება, წავიდეს რისკზე. დროა თავი გავანთოთ მწვრთნელის მუშაობაში ხშირ ჩარევას.

ფართო გასაქანი უნდა მივცეთ შემოქმედებას ტაქტიკაშიც და ტექნიკის სფეროშიც ცალკეულ მოთამაშეთა მაღალი ტექნიკა წყაროა უმდიდრესი ტაქტიკური შესაძლებლობებისა, თამაშის პროცესში უდადესი შემოქმედებითი გაქანებისა. დროა ყურადღება მივცევს ფეხბურთის ამ უმნიშვნელოვანეს უბანს.

და ბოლოს, დროა ბოლო მოელოს ამა თუ იმ ტაქტიკური სქემის „განზოგადებას“, ყველა გუნდისათვის „რეცეპტირებას“ და შაბლონურ გადაღებას, ამასთან დაკავშირებით ა. ვიტი წერს:

„იყო დრო, როცა თბილისელთა თამაშის სურათი განსხვავდებოდა მოსკოველების, ლენინგრადელების, კიეველების, კუიბისეველების „ხელწერისაგან“. ამას კი ჩვენი ფეხბურთისათვის სარგებლობა რომქონდა. განა შესაძლებელია, რომ ამა თუ იმ რესპუბლიკის ეროვნული თავისებურებანი, ტემპერამენტი, ხასიათი და თვით ჰავა კი თავის დაღს არ ასავამდეს ფეხბურთისა? არა! ჩვენ ყველაფერი საერთო მნიშვნელობის ქვეშ გვაქვს მოქცეული. სწორია ეს? არა. ჩვენ გვკონია, რომ საბჭოთა გარინას უფრო მტკვრის ნაპირებიდან უნდა ველოდეთ, ვიდრე ნევის სანაპიროებიდან.“



ბერლინი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჩემპიონთა თანამედროვე ხუთშიდში გახდა პ. სტინცი.

ვიტერბო. პოლონეთის კალათბურთელ ქალთა ნაკრებმა გუნდმა გაიმარჯვა საერთაშორისო ტურნირში, რომელიც ამ დღეებში დამთავრდა ვიტერბოში. მეორე ადგილი დაიკავა „უდინეზეს“ (იტალია) კლუბმა, ხოლო მესამე „პუკმა“ (პარიზი).

დიუსელდენი (გფრ). ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირში გამარჯვება მოიპოვეს იუგოსლავიის სპორტსმენებმა, რომლებმაც უკან ჩამოიტოვეს გერმანიის ფედერალური რესპუბლიკისა და ავსტრიის წარმომადგენლები.

ვენა. მსოფლიოს 1958 წლის ჩემპიონმა სლავოში ი. რიდერმა ამას წინათ განაცხადა, რომ სხვადასხვა მისასრებით თავს ანებებს სპორტს.

ტოკიო. აზიის ფეხბურთის ფედერაციის კონგრესმა მიიღო გადაწყვეტილება შეადგინოს ნაკრები გუნდი ევროპასა და სამხრეთ ამერიკაში ტურნეს მოსაწყობად.

ამსტერდამი. გაიმართა მსოფლიო პირველობის მონაწილე სპორტსმენთა შეჯიბრება ველორბოლაში. მ. რუსომ (საფრანგეთი) სპრინტში დაამარცხა პოლანდიელი ხ. დერკენი. სალიდერო რბოლაში პირველ ადგილზე იყო ესპანელი ტი-

მონერი. მსოფლიო ჩემპიონი შვეიცარიელი ბუხერი მეექვსე ადგილზე გამოვიდა.

ზაგრები. პოლონეთისა და იუგოსლავიის მოკრივეთა ამხანაგური შეხვედრის ანგარიშია — 10:10.

ლონდონი. მსოფლიო რეკორდსმენმა ერთ მილზე და 1500 მეტრზე რბენაში, ავსტრალიელმა ელ. ტრა მიიღო ამერიკელი მენაჯერის წინადადება პროფესიონალში გადასვლის შესახებ.

ბუდაპეშტი. ცურვის საერთაშორისო ლიგამ დამტკიცა 42 ახალი მსოფლიო რეკორდი, რომელთაგან 26 ავსტრალიელებს ეკუთვნის.

ლაიპციგი. მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე ჩინეთის ახალი რეკორდი სიგრძეზე ხტომაში ქალთა შორის დაამყარა ინ ტე-იუნგმა — 5 მ 82 სმ.



უცხოეთის იუმორი.

ს ა ს ლ ო კ ა კ ი გ ა წ ბ ი ლ მ გ უ ლ ი ა

არავის აქვს იმის საწინააღმდეგო, რომ მოკრივე ლასლო პაპი ერთ-ერთი გამოჩენილი ფიგურაა უნგრეთის სპორტის ისტორიაში. უკვე ის ფაქტი, რომ ლ. პაპს სამი ოლიმპიური ოქროს მედალი აქვს მოპოვებული, რაც ჯერ არ ახსოვს ოლიმპიური თამაშების ისტორიას კრივში, თავისთავადაც ნათლად შეტყველებს.

ლაკ მივაწყებული ჰყავთ. რატომ? სპორტის მოყვარულებს ალბათ ახსოვთ, რომ მეტაბურნის ოლიმპიური თამაშების დამთავრების შემდეგ პაპმა გადაწყვიტა დაეტოვებინა სამოყვარულო რინგი და გამოეცადა თავისი ძალი პროფესიონალთა შორის.

მაგრამ პროფესიონალი მოკრივის კარიერასულადა არაა ია და ვარდით მოფენილი და ეს მაშინვე იწყინა თავის თავზე ლ. პაპმა თავის

მწვრთნელთან ჯ. ადლერთან ერთად. პაპმა დასავლეთ გერმანიაში მოაწერა ხელი კონტრაქტს მენაჯერ ენგლერტთან პროფესიონალი მატჩის შესახებ საუკეთესო გერმანელ და ფრანგ მოკრივეებთან დადებულ სამშობლოში.

ოლიმპიური ჩემპიონი გაცხოველებით ემზადებოდა მომავალი შეხვედრებისათვის, სწავლობდა თავის მოწინააღმდეგებს. მაგრამ გადიოდა დრო და

ამ შეხვედრათა დაწყებას არ უჩანდა პირი.

ენგლერტმა პაპს წინასწარ მოთხოვა დიდი თანხა დანიშნული მატჩების შემოსავლიდან, თანაც ეს შეხვედრები დაინიშნა სწორედ იმ დროისათვის, როცა პაპს არ შეეძლო გერმანიაში გამგზავრება იმის გამო, რომ დაკავებული იყო ბუდაპეშტში ფილმის გადაღებასთან დაკავშირებით.

ამას წინათ ენგლერტმა მოაწყო ახალი ტურნირი, რომლისთვისაც ლ.

ქნელებთანაა დაკავშირებული.

აქ რომ, ლასლო პაპი ჯერჯერობით ვერც სამოყვარულო რინგებზე გამოდის და ვერც პროფესიონალთა ტურნირებში.

გავითი „ნეი სპორტი“ ლ. პაპსა და ჯ. ადლერს ურჩევს დაუბრუნდნენ სამოყვარულო კრივს და ემსახურონ ახალგაზრდა უნგრელ მოკრივეთა აღზრდის კეთილშობილურ საქმეს.

რედაქტორი ი. უზულაპა.